ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 7

14.06.2025 წ.

დ. ლენტეხი.

მიმდინარე წლის 14 ივნისს დღის 12 საათზე ჩატარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ;

ლენტეხის საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, წევრები-დავით პირველი, მევლუდ ლიპარტელიანი, ამირან ქურასბედიანი, რომან მუკბანიანი. მოწვეული სტუმარი: - საფინანსო სამსახურის უფროსი ტ. ჩანქსელიანი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი;

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის 2025 წლის ექვსი თვის ანგარიში განხილვა

   მომხ. ტ. ჩანქსელიანი

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა პროფესიული საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების , საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივ სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N 18 დადგენილების N1 დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

   მომხ. ლ. გუგავა.

3. სოფელ ხელედის ქორეოგრაფიულ ანსამბლის „სვანური სულის" მოცეკვავეთა მშობელთა ერთობლივი განცხადების განხილვა.

   მომხ. ლ. გუგავა

მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სამსახურის უფროსმა ტ. ჩანქსელიანმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის ანგარიში საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემოსულობების, გადასახდელების შესაბამისი პერიოდის გეგმიური მაჩვენებლების მიხედვით.

2024 წლის მუნიციპალიტეტის შემოსულობების 6 თვის მთლიანი გეგმა შეადგენს 7724.0 ათ. ლარს ფაქტიური შესრულება 6329.7 ათ. ლარს შესრულებულია 82 % ით. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა შეადგენს 2529.1 ათ. ლარს. ფაქტიური შესრულება 1270.7 ათ. ლარს. შესრულებულია 50 % ით. საკუთარი შემოსულობები გეგმით 5194.9 ათ. ლარი ფაქტიურად შესრულებულია 5059.0 ათ. ლარით. შესრულებულია 97 % ით.

გადასახდელების წლიური გეგმა შეადგენს 9910.2 ათ. ლარს. ფაქტიურად შესრულებულია 7012.2 ათ. ლარით. შესრულებულია 70 % ით.

არა ფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 4045.9 ათ. ლარს. ფაქტი 1583.9 ათ ლარს. შესრულებულია 64 % ით. ნაშთის ცვლილება 2186.2 ათ. ლარს. ფაქტიურად შესრულებულია 682.5 ათ. ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ დაუსვა კითხვა მომხსენებელს, საკუთარი შემოსავლების 6 თვის გეგმის შეუსრულებლობის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა რომ შემოსავლები საკუთრებიდან რენტა გეგმით გათვალისწინებულია 213.5 ათ. ლარით. ფაქტიურად შესრულებულია 19.0 ათ. ლარით. შესრულებულია 9 % ით. რამაც გამოიწვია საკუთარი შემოსავლების შეუსრულებლობა.

მეორე საკითხად მომხსენებელმა ლამზირა გუგავამ წარმოადგინა პროექტი „2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, სამტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N18 დადგენილების N1 დანართში ცვლილების შეტანის შესახებ. მან აღნიშნა რომ ცვლილება გამოწვეული იქნა კულტურის, სპორტის, განათლების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სამსახურის მოთხოვნით ვინაიდან, ამავე სამსახურის კულტურის მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის განყოფილებაში არ იყო სამტატო ერთეული. საჭიროებიდან გამომდინარე მოხდა ცვლილება მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, საზოგადოებრივი ურთიერთობის განყოფილებიდან ,საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი გადატანილი იქნას ზემოთ აღნიშნულ განყოფილებაში.

აგრეთვე მერიის შიდა აუდიტის სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელე მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიკა გუგავა გადაყვანილი იქნას ამავე სამსახურის რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილებაში თავისი პოზიციით.

ბოლოს მომხსენებელმა ლამზირა გუგავამ კომისიას გააცნო ანსაბლ „სვანური სულის" მოცეკვავეთა მშობლების ერთობლივი განცხადება ქ. ბათუმში ქორეოგრაფიულ ფესტივალზე ფინანსური დახმარების მოთხოვნაზე. მან აღნიშნა რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახმარების სახით გამოეყოს 2.0 ათ. ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხებზე და მიიღეს გადაწყვეტილება წარმოგენილი სახით გატანილი იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის სხდომა დამთავრდა დღის 14 საათზე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ლ. გუგავა.